

**სტანდარტული ენა და ქართული ენის  
ორთოგრაფიული ლექსიკონები**  
**STANDARD LANGUAGE AND  
ORTHOGRAPHIC DICTIONARIES  
OF GEORGIAN LANGUAGE**

**რუსუდან საღინაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო. ქუთაისი

**Rusudan Saginadze**

Akaki Tsereteli State University  
Georgia. Kutaisi

**ABSTRACT**

The article examines two main factors causing modern language disorders in modern Georgian written and spoken language, such as: A. Contradiction between the norms of the modern Georgian literary language and living speech; B. Contradiction in the norms of the modern Georgian literary language itself.

We aim to show the contradictory situation caused by these two factors in the resources that should be used to maintain the standard of this or that word form. We mean orthographic dictionaries of the Georgian language, including such a fundamental dictionary as V. Topuria and Iv. Gigineishvili's "orthographic dictionary of the Georgian language" (1968; 1998), as well as electronic dictionaries and other publications (collections). In the lexical material, the qualitative difference in the standard language resources makes some norms controversial, which contributes to the emergence of language form variants, incorrect forms next to the correct ones, and, moreover, hinders the updating of the norm, and the development of a new linguistic standard. This problem became even more acute when the project of a young specialist, data scientist and programmer Vakhtang Elerdashvili called "Incorrect-Print-Finder" – a morphological checker of errors in the text – appeared on the social network (Facebook). The aim of the project is to create a perfect text analyzer in Georgian.

The paper analyzes the relevant material reflecting the contradictory situation in the standard language resources, outlines the ways to solve the problem, concludes that the material in the standard language resources should be united (processed) and a united orthographic database, an extensive orthographic electronic dictionary with the function of constantly updating the norms of the Georgian literary language should be created.

**საკვანძო სიტყვები:** სალიტერატურო ენა, ნორმა, ენობრივი წინააღმდეგობა.  
**Keywords:** literary language, norm, linguistic contradiction.

ქართულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით თანდათან ყალიბდებოდა გააზრებული მიდგომა სტანდარტული ენის ნორმირებისადმი, თუმცა ერთიანი, მტკიცე ნორმები ყოველთვის არ არსებობდა. ეს განსაკუთრებით XII-XVIII საუკუნეთა ენაზე ითქმის. ნორმათა ერთიანობით, სიმტკიცითა და მონოლითურობით გამორჩეულია V-XI საუკუნეების ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რასაც, როგორც მიუთითებენ, განაპირობებდა ხანგრძლივი ტრადიცია და სალიტერატურო ენის ნორმათა სიახლოვე ხალხურ მეტყველებასთან (ქავთარაძე 1981: 128).

თანამედროვე საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, ციფრულმა სამყარომ ბევრი რამ შეცვალა: გაიზარდა ქართული ენის მომხმარებელთა რაოდენობა, ამასთან, კიდევ უფრო მეტად საგრძნობი გახდა ენისადმი თავისუფალი მიდგომა, დამოკიდებულება, მწვავედ დადგა სტანდარტული ენის განახლების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში ამ ერთი საუკუნის განმავლობაში შევიდა მცირეოდენი ცვლილება, ვფიქრობ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ სტანდარტული ენა არ ჩამორჩენოდა ენის განვითარებას. საზოგადოებაც თანდათან დაშორდა სალიტერატურო ენის ნორმებს, რის შედეგსაც თვალნათლივ ვხედავთ მომრავლებული ენობრივი შეცდომების სახით.

სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის მიზეზების შესახებ ჯერ კიდევ 1965 წელს მიუთითებდა ვ. თოფურია წიგნში „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“. მას დასახელებული აქვს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ადრინდელი ლიტერატურული ფაქტები, დიალექტების გავლენა, სესხება, ტენდენცია ფორმათა დამსგავსებისა, ენის მიდრეკილება გაერთიანებისკენ, ანალოგია, ფორმათა შერწყმა, დაუდევარი, უყურადღებო მოპყრობა სალიტერატურო ენის ნორმების დაცვისადმი, სალიტერატურო ქართულისთვის არაბუნებრივი მოვლენის აღდგენისა და დამკვიდრების მცდელობა... (თოფურია 1965: 38-55).

მიზეზთა ამ ჩამონათვალში არ ჩანს იმგვარი წინააღმდეგობრივი ვითარება, რასაც ეხება ჩვენი სტატია, თუმცა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ენობრივი შეცდომების მიზეზთა სიღრმისეული ანალიზის შედეგად ვ. თოფურიას მიერ გამოტანილი დასკვნა: „ზოგი შეცდომა წარმოშობილია ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპის, სხვადასხვა ფენის მონაცემთა ურთიერთმოქმედებით, ზოგიც სხვა ენათა ზეგავლენით, ზოგიც კიდევ ჩვენი ჩარევით, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენი მცდარი მიდგომით“ (იქვე: 54). არაჩვეულებრივი მეცნიერული ალღოს მქონე მეცნიერი გრძნობდა იმ მოსალოდნელ, დასაშვებ ვითარებას, რაც განვითარების გარკვეულ ეტაპზე რეალობაა ენაში. ამის საფუძველს მას აძლევდა ენის, როგორც ცვალებადი ფენომენის, შინაგანვითარების მექანიზმში წვდომა, გაცნობიერება იმისა, რომ „ცვალებად ენას უცვლელი ნორმა ვერ ექნება. ენის ცვალებადობის ფაქტიდან შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს ენობრივი ნორმის ცვალებადობა“ (ჩიქოვაძე 1979: 11).

წინააღმდეგობრივი ვითარება, რაც გაცილებით ადრე (სამი ათეული წლის წინ მაინც) გამოიკვეთა, მოიცავს ორ ასპექტს:

ა. წინააღმდეგობა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის.

ბ. წინააღმდეგობა თვით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის არსებული წინააღმდეგობის ამსახველი ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითში **-ია** დაბოლოების გაჩენა: **დამიხატავს – დამიხატია, დამიბამს – დამიბია...** ამ ფორმათა დაკანონება დაგვიანდა. უნიფიკაციის პრინციპით ცოცხალ მეტყველებაში უკვე მომხდარია ფორმათა გაერთმინიშვნელიანება, საბოლოო ჯამში კი – ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია (სალინაძე 2013: 55).

ასევე, ცოცხალ მეტყველებაში დიდი ხანია, გამარტივებულია ზმნაში **S<sub>1</sub>O<sub>3</sub>** პირთა შეხვედრის გამომხატველი **ვჰ-, ვს-** პრეფიქსები, ნორმის მიხედვით კი ზოგიერთ ზმნასთან დაშვებულია პარალელური ფორმები: **ვგავარ//ვჰგავარ** (ჰგავხარ, ჰგავს, ჰგვანან); **ვგავდი/ე//ვჰგავდი/ე; მოყავარ(თ) // მოვჰყავარ(თ); ჩამოვგეგებივარ // ჩამოვჰგეგებივარ** (ჩამოჰგეგებიხარ, ჩამოჰგეგებიან)... **ვწვდები // ვსწვდები; შევწეოდი/ე // შევსწეოდი/ე...** ასევე: **RS<sub>3</sub> + RO<sub>1</sub>: ვყავარ // ვჰყავარ** (ჰყავხარ, ჰყავს, ჰყვანან)... (<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>).

წინააღმდეგობრივია აწმყო-მყოფადის დაპირისპირების გამომხატველ ფორმათა ნორმაც: **ვკარნახობ** მას კი არა] **ვუკარნახებ; კარნახობს** მას კი არა] **უკარნახებს; ვპასუხობ** მას კი არა] **ვუპასუხებ; პასუხობს** კი არა] **უპასუხებს, პასუხს აძლევს** (იქვე).

წინააღმდეგობრივი ვითარება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში ასახულია ვ. თოფურისა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“. სადავო ფორმები ზოგჯერ თავს იჩენს ძველი (1968) და ახალი (1998) გამოცემების მიხედვითაც. ამის ერთ-ერთი მაგალითია **სწრაფ-** ფუძიანი ფორმები: 1968 წელს გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში მართებულად იყო მიჩნეული **ისწრაფის, ისწრაფოდა, ისწრაფოდეს** (ერთპირიანი) და **ესწრაფვის, ესწრაფოდა, ესწრაფოდეს** (ერთპირიანი) ზმნები. 1998 წლის გამოცემაში შეტანილია ცვლილება: ორივე ფორმაში **ვ** სავალდებულოდ არის მიჩნეული: **ისწრაფვის, ესწრაფვის**. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. იმნაიშვილის მოსაზრება: „ვწეროთ **სწრაფვა**, მაგრამ მის გვერდით ნუ ავკრძალავთ **ისწრაფის** და **ესწრაფის, მიისწრაფის** და **მოისწრაფის** ფორმებს, მით უფრო, რომ ყველასათვის ცხადია, ეს **ვ** თავიდანვე არ იყო განსახილველი ფუძის კუთვნილება (პირიან ფორმებში) და მოგვიანებით არის გაჩენილი ისე, რომ არავითარი გრამატიკული ფუნქცია არ ჰქონდა და არც შეუძენია შემდგომ“ (იმნაიშვილი 2016: 193-195)...

ვ. თოფურისა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ორივე გამოცემაში) მოცემულია **შედგა** ზმნის ფორმები: **შესდგება, შესდგა** კი არა] **შედგება, შედგა; შესდექ** კი არა] **შედექ** (<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>). **შედგა** (ის), **შედექ** (შენ)! ერთპირიანი ზმნის ფორმებია. ლექსიკონში გათვალისწინებული არ არის ამავე ზმნის

ორპირიანი **შესდგა** (ის მას), **შესდექ** (შენ მას)! ფორმები, თუმცა წინასაგან განსხვავებით ახალ გამოცემაში დამატებულია **შესდგომია, შესდგომოდა** ზმნებიც;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, ერთი მხრივ, მართებულად არის მიჩნეული ფორმები **ს-ს** გარეშე: **ჩემკენ, ჩემ წინ, ჩემ წინაშე, ჩემ მიერ...** მეორე მხრივ კი, გამართლებულია სანიანი ფორმები: **ჩემს იქით, ჩემს შემდეგ...** სასაუბრო ენამ გამოხატა მისწრაფება უნიფიკაციისაკენ, სისტემურობისაკენ, რის შედეგადაც ცოცხალ მეტყველებაში გაჩნდა (გავრცელდა კიდევ) ფორმები: **ჩემსკენ, ჩემს წინაშე, ჩემს წინ, ჩემს მიერ...** (სალინაძე 2013: 50-51).

სტანდარტული ენის ამგვარი წინააღმდეგობრივი ვითარება არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თანამედროვე ქართულ წერითსა და ზეპირ მეტყველებაში მომრავლებული ენობრივი შეცდომებისა. ეს პრობლემა დღეს ძალიან მწვავედ დადგა, რაც, ბუნებრივია, აჩენს კითხვას: რა რესურსები გვაქვს იმისათვის, რომ ენის მომხმარებელმა გააკეთოს არჩევანი მართებულსა და უმართებულს შორის. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყდეს სადავო ენობრივ ფორმათა სტანდარტის საკითხი, დაკანონდეს განახლებული ნორმები.

სტანდარტული ენის რესურსთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ:

1. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემები:

ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1941; 1947; 1948.

ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968 – I ვრცელი გამოცემა (რედ. ვ. თოფურია) – 15 000 ლექსიკ. ერთ.;

ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998 – II შევსებული გამოცემა (რედ. ივ. გიგინეიშვილი) – 80 000-მდე ლექსიკ. ერთ. (შესულია 1968 წ. განახლებული ნორმები);

2. ნორმათა კრებულები:

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებ. I, თბ., 1970;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებ. I, თბ., 1986 (1970 წ. კრებულის ფოტოტიპური გამოცემა);

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბ., 1972 წლიდან...

ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ელექტრონული რესურსები, კერძოდ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ლექსიკონები (<https://www.ice.ge/liv/liv/index.php>):

1) მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის;

2) მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი;

3) ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I;

4) ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II;

5) სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი;

6) საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი;

- 7) საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი;
- 8) ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი;
- 9) ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი;
- 10) ქართული ენის სიტყვაშემოკლებათა ლექსიკონი.

ელექტრონულ ლექსიკონთა შორის გამოვყოფთ ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს, რომელსაც ეყრდნობა ყველა დანარჩენი. ნორმის მხრივ ერთიანი სტანდარტი ამ მასალებში არ არსებობს.

ვიდრე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონებსა და, საერთოდ, სტანდარტული ენის რესურსებში, არსებულ პრობლემებს, წინააღმდეგობრივ ვითარებას შევხები, მანამდე ორიოდ სიტყვით აღვნიშნავ იმ სიახლის შესახებ, რამაც განაპირობა ჩვენი კვლევა. ვგულისხმობ 2020 წლის შემოდგომაზე სოციალურ ქსელში, Facebook-ში, „მცდარბეჭდილის სამმოს“ მიერ (საჯარო ჯგუფი, 6,2 ათასი წევრი) დაწყებულ მოძრაობას, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდა სპეციალისტის, მონაცემთა მეცნიერისა და პროგრამისტის ვ. ელერდაშვილის პროექტს სახელწოდებით „მცდარბეჭდილმძებნი“ – ტექსტში არსებული შეცდომების მორფოლოგიური შემმოწმებელი. პროექტის მიზანია ქართულ ენაზე სრულყოფილი ტექსტური ანალიზატორის შექმნა ([www.spellchecker.ge](http://www.spellchecker.ge)).

მოძრაობამ მოიგვა Facebook-ის მომხმარებელთა დიდი ნაწილი, საზოგადოების სხვადასხვა სფეროსა და პროფესიის წარმომადგენლები და წარმოაჩინა როგორც მათი დამოკიდებულება სტანდარტული ენისადმი, ისე სალიტერატურო ენასთან დაკავშირებული პრობლემები. კრიტიკის ობიექტად იქცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული გამოთქმა „მკაცრად ნორმალიზებული...“ ასე მოიხსენიებენ V-XI საუკუნეთა სალიტერატურო ენას. ამის შესახებ წერს ზ. სარჯველაძე: „(V-XI საუკუნეების) წერილობით ძეგლთა ენის შესწავლა უეჭველს ხდის იმას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და მათ მწერლები და გადამწერები მკაცრად იცავენ“ (სარჯველაძე 1984: 89).

როგორც წესი, ნორმა, კანონი იმპერატიულია და ასე იყო მთელი წინა (XX) საუკუნის განმავლობაშიც: კანონის ძალა ჰქონდა 30-იან წლებში შემუშავებულ ნორმებს (მომდევნო პერიოდში მცირეოდენი ცვლილებით). მიუხედავად იმისა, რომ ენის ცვალებადობის პრინციპით არის შეპირობებული ნორმის ცვალებადობა, სალიტერატურო ენის (წინასწარ შემუშავებულ კანონებზე დამყარებული ენის) იმპერატიულობა გაცილებით ხელოვნურსა და წინააღმდეგობრივს ხდის მას. 80-90-იან წლებში აშკარად გამოიკვეთა წინააღმდეგობა სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის, მაგრამ ნორმის ცვლილებაზე საუბარიც კი მძიმედ აღიქმებოდა სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ბოლოხანს შეიცვალა ამგვარი მიდგომა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ოფიციალურად, ექსპერტთა კომისიის დასკვნებზე დაყრდნობით, დაიწყო ნორმების განახლება, გამოიცა პირველი ბიულეტენიც. ვ. ელერდაშვილის მიერ პროგრამის შექმნამ ([www.spellchecker.ge](http://www.spellchecker.ge)) კიდევ უფრო დააჩქარა ეს პროცესი. დღეს არა მხოლოდ სპეციალისტები, არამედ საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებიც უფრო

აქტიურად ერთვებიან სადავო ენობრივ ფორმათა, ვარიანტთა დაზუსტება-დაკანონებაში.

მწვავედ დადგა ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონებში არსებული წინააღმდეგობრივი ვითარების საკითხიც. დავუბრუნდებით ზემოხსენებულ ელექტრონულ ორთოგრაფიულ ლექსიკონს, რომელიც შექმნილია ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1998) მიხედვით (<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>). მასთან ერთად ინტერნეტში განთავსებულია მეორე ორთოგრაფიული ლექსიკონი (ავტორები: ჭ. ქირია, ვ. იმნაიშვილი, ქ.გოჩიტაშვილი, რ. სხირტლაძე). იგი შექმნილია ენის მოდელირების ასოციაციის მიერ პროექტის – „ქართული ენის ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (დაფინანს. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ) ფარგლებში – არსებული ნორმატიული გამოცემების (თოფურია-გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები...“) ბაზაზე, მოქმედი ორთოგრაფიული წესების გათვალისწინებით (<http://www.ena.ge/>). მათ შორის თვისობრივი განსხვავებაა, რაც, ცხადია, სადავოს ხდის ზოგიერთი სიტყვაფორმის ნორმას. ეს ეხება განსაკუთრებით საზოგადო არსებით სახელთა კუმშვა-კვეცის ფაქტებს (მაგალითებს დავასახელებთ ჯგუფის „მცდარბეჭდილმძებნი“ კომენტარებიდანაც):

**თოჯინა: თოჯინას // თოჯინის;**

**თოჯინა** (ნათ. **თოჯინას**, მრ. **თოჯინების** (<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>);

**თოჯინა – თოჯინის** (<http://www.ena.ge/>).

კომენტარები: „**თოჯინის** (ელექტრონული ორთოგრაფიული და „ქართული ლექსიკონის“ (2014 წ.) მიხედვით იკვეცება, თოფურია-გიგინეიშვილის მიხედვით – არა)“ (Khatuna Sidamonidze, „მცდარბეჭდილმძებნი“, ფბ, 09.03.2021) – „სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონებშიც“ არ იკვეცება „**თოჯინა**“... ენობრივ ნორმებში არ შესულა ცვლილება მსგავს სიტყვებზე. როცა შეიტანენ, „მცდარბეჭდილმძებნი“ მაშინვე აისახება“ (Zurab-Tato Baratashvili, იქვე);

**სასმელი: სასმლისა // სასმელად;**

**სასმელი (სასმლისა, მაგრამ სასმელები)** (<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>);

**სასმელად** (<http://www.ena.ge/>);

**ხვეისბერი: ხვეისბერის(ა) // ხვეისბრისა.**

კომენტარები: „ხვეისბერის“ არის სწორი? „ხვეისბრის“ გააწითლა. ორთოგრაფიულის მიხედვით კუმშვადია (მაიკო კვირკველია, „მცდარბეჭდილმძებნი“, ფბ, 24.08.2021) – „მედიის, სასკოლო, მოსწავლის, ჟურნალისტის და საჯარო მოხელის ორთოგრაფიული ლექსიკონების მიხედვით არ იკუმშება: ხვეისბერი – ხვეისბერის(ა) არის. თოფურია-გიგინეიშვილის ორთოგრაფიული კუმშავს... და მანდ როგორცაა, ის არის სწორი“ (Vakho Elerdashvili, იქვე).

საზოგადო სახელთა კუმშვა-უკუმშველობა, კვეცა-უკვეცელობა შეიძლება შეპირობებული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, ფონეტიკურით (მახვილი, ბგერათმომდევრობა...), სემანტიკურით (მამა – მამის / მამას, დედა – დედის / დედას; ბალი – ბლის და ბალი – ბალისა...)... რაც შეეხება „ლიმონს“, ამ სახელის შეკუმშული „ლიმნის“ ფორმის გამო კამათი ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო... დღეს არაფერი არ უშლის ხელს მის დაკანონებას.

ხშირად ენის მომხმარებელთა დავის საგანია საკუთარი სახელების, მაგალითად, გვარების, კუმშვა: გავაშელის თუ გავაშლის, გამრეკელის თუ გამრეკლის, გელოვანის თუ გელოვნის, გომართელის თუ გომართლის?.. აგრეთვე, ქვეყნების, ქალაქების სახელების კვეცა: ბარსელონას თუ ბარსელონის?..

ზოგჯერ არაერთგვაროვანია და კავშირით შეერთებულ სიტყვათა ორთოგრაფიაც:

**ბოლოს და ბოლოს // ბოლოსდაბოლოს;**

**ბოლოს და ბოლოს** [და არა ბოლო-ბოლო]: <http://www.ice.ge/liv/liv/mosc.php>

**ბოლოსდაბოლოს:** <http://www.ena.ge/>

შდრ. **მხოლოდ და მხოლოდ** (ასეა ორივე ლექსიკონში)...

განსაკუთრებით რთული ვითარებაა ზმნურ ფორმათა სტანდარტში.

მაგალითად:

**იღებს / ღებულობს;**

**ღებულობს, ღებულობდა** კი არა] **იღებს, იღებდა:** <http://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>

**იღებს:** <http://www.ena.ge/>

**იგებს / გებულობს;**

**გებულობს** კი არა] **იგებს:** <http://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>

**იგებს ამზავს:** <http://www.ena.ge/>

**იღებს / ღებულობს, იგებს / გებულობს** ფორმებით მომენტურობა-განგრძობითობაა გამოხატული, თუმცა სალიტერატურო ენაში სემანტიკური სხვაობა არ არის ასახული.

განსაკუთრებით პრობლემურია **ვ** ბგერის ჩართვა-ჩაურთველობის სტანდარტი:

**დავობს // დაობს.**

**დავობს** კი არა] **დაობს; დაობდა.** იქვე არის ფორმები: **დავობს; დავობდა; იდავა; უდავია** (<http://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>). ამავე ლექსიკონში სწორი სახელური ფორმებია: **დავა > უდავო, უდავოდ, სადავო** (და არა: **უდაო, უდაოდ, სადაო**) (იქვე);

**დავობს** (<http://www.ena.ge/>)

**გავანდე // გავანდე, ვიღრძვე // ვიღრძვე.**

კომენტარები: „დღეს ეს შეცდომა გავასწორე და მაინც მეხამუშება. ვისაც გეხამუშებათ მოდით და გაიზიარეთ ჩემი „ხამუში“... (Vakho Elerdashvili, „მცდარბეჭდილმძებნი“, ფბ, 10.05.2021);

„კარგი სარკვა ეს ჯგუფი, რამდენი რამ არ მცოდნია და გულმოდგინედ ვასწორებ, მაგრამ „ვიღრძვე“, მეც კი, მეტისმეტად მეჩვენება... ჰოდა,

მოსთხოვეთ ვისაც საჭიროა, რომ გაასწორონ ეს დინოზავრების ეპოქის ფორმები“ (Lela Khatridze, იქვე);

**განდობს; განდო (გავანდვე, გაანდვე, განდვეს); გაუნდვია:** <https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>

**ანდობს, ანდო, უნდვია (მიანდო):** <https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>  
შდრ.:

**უგრძნია // უგრძენია, უცნია // უცენია.**

„უგრძნია – უგრძენია“ ზმნათაგან სწორია „უგრძნია“ ორივე ლექსიკონის მიხედვით, მაგრამ „უცენია – უცნია“ ფორმათაგან ერთ ლექსიკონში სწორ ფორმადაა მიჩნეული „უცენია“ (<http://www.ena.ge/>), მეორეში – „უცნია“ (<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მართებულ ფორმებად არის მიჩნეული **გაუცნია, უგრძნია** (ნორმები 1986: 20).

**ვ** ბგერის ჩართვა-ჩაურთველობას სხვადასხვა საფუძველი აქვს: ძირითადად შეპირობებულია ფონეტიკურად (მაგალითად, პოზიციურად); ზოგან მადიფერენცირებელია, სემანტიკურ სხვაობას ქმნის (დავაცხვე – დავაცხე, გაცივებული – გაციებული); ხშირად ანალოგიით ჩნდება (ანდობს – ანდო – უნდვია და გავანდობ – გავანდვე...); ზოგ შემთხვევაში ნორმა არ არის ზუსტი და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სადავო ფორმათა შორის არჩევანს ლექსიკონების წინააღმდეგობრივი ვითარება ართულებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „მცდარბეჭდილმძებნის“ საბჭოს წევრთა კომენტარები:

– „...ფაქტია ორთოგრაფიულში ერთი წერია, აქ მეორე. ამიტომ პრინციპი უნდა იყოს ან ის რომ ყველაფერში ვეთანხმებით ორთოგრაფიულს, ან პრინციპი უნდა იყოს მოძველებული ფორმების შესწორება...“ (Natia Mirotadze, „მცდარბეჭდილმძებნი“, ფბ, 10.05.2021).

– „ena.ge-ს ნორმები არ აინტერესებს და ნორმებს უნდა ეყრდნობოდეს სპელჩეკერი“ (Giga Kverenchkhiladze, იქვე).

– „როგორ არ აინტერესებს :) განმარტებული აქვთ რამდენიმე ათეულ გვერდზე რა შეცვალეს და რატომ. ხსნიან რატომ გაიზიარეს ძირითადად ქეგლის ფორმები და არა ორთ. ლექსიკონის“ (Vakho Elerdashvili, იქვე).

სალიტერატურო ენის რესურსებში არსებული წინააღმდეგობრივი ვითარების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთიანობა დარღვეულია, რაც არ შეესაბამება სახელმწიფოებრივი მოწყობის სტანდარტებს. აუცილებელია, დაჩქარდეს სალიტერატურო ენის ნორმათა განახლება, რაც თავისთავად მოითხოვს მყარი, ობიექტური საფუძვლის შექმნას. ამასთანავე, „...ნორმათა განახლების მექანიზმი აუცილებლად უნდა გახდეს უფრო მოქნილი. ამის მიღწევა არ არის ადვილი, მაგრამ საჭირო, აუცილებელი და შესაძლებელია“ (მარინე ბერიძე, ფბ, 10.05.2021).

ნორმირებისათვის უკვე არსებობს უზარმაზარი ბაზა – სტანდარტული ენის რესურსები (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემები, ნორმათა კრებულები, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ელექტრონული ლექსიკონები). უნდა გაერთიანდეს (გადამუშავდეს) სტანდარტული ენის



რესურსებში არსებული მასალა, გამოიყოს ნორმად ქვევის პერსპექტივის მქონე სიტყვები და ჩამოყალიბდეს ერთიანი ორთოგრაფიული ბაზა, ერთი ვრცელი ორთოგრაფიული ელექტრონული ლექსიკონი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მუდმივად განახლების ფუნქციით. ეს დააჩქარებს დაზუსტებული ნორმების „მცდარბეჭდილმძებნში“ ასახვასა და ქართულ ენაზე სრულყოფილი ტექსტური ანალიზატორის შექმნას.

#### დამოწმებული ლიტერატურა

**თოფურია 1965:** თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი (რედაქტორი გ. ახვლედიანი). თბილისი, 1965.

**ნორმები 1986:** თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული I. თბილისი, 1986.

**იმნაიშვილი 2016:** იმნაიშვილი ვ., ქართული მართლწერის სადავო საკითხები. თბილისი, 2016.

**სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

**სალინაძე 2013:** სალინაძე რ., სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები. თბილისი, 2013.

**ქავთარაძე 1981:** ქავთარაძე ი., ენის ისტორიის წყაროები და მათი გამოყენების პრინციპები. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. თბილისი, 1981.

**ჩიქობავა 1979:** ჩიქობავა არნ., სალიტერატურო ენა და ნორმა. კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი II. თბილისი, 1979.

#### ელექტრონული რესურსები

<https://www.ice.ge/liv/liv/ortograf.php>

<http://www.ena.ge/>

[www.spellchecker.ge](http://www.spellchecker.ge)